ხელშეკრულება საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N101
(შემდგომში - საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება)

ქ. თბილისი

07 აგვისტო 2018 წელი

1. **ხელშეკრულების მხარეები**

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა;
1.1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: *(თუ განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან)*	ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 2
1.1.1.4.	<u>წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):</u>	
1.1.1.4.1.	სახელი და გვარი:	ნინო კაციტაძე;
1.1.1.4.2.	თანამდებობა/სტატუსი:	ცენტრალური ფილიალის მმართველის მოადგილე;
1.2.	**კლიენტი:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	203831363
1.2.1.2.	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:	ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #5
1.2.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: *(თუ განსხვავდება იურიდიული/საცხოვრებელი მისამართისაგან)*	
1.2.1.4.	<u>წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):</u>	
1.2.1.4.1.	სახელი და გვარი:	ნიკოლოზ გოგილიძე
1.2.1.4.2.	პირადი ნომერი:	01020007545
1.2.1.4.3.	თანამდებობა/სტატუსი:	თავმჯდომარე
1.2.1.5.	<u>საკონტაქტო მონაცემები:</u>	
1.2.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	ნიკოლოზ გოგილიძე
1.2.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	თავმჯდომარე
1.2.1.5.3.	ტელეფონი:	995595384142
1.2.1.5.4.	ფაქსი:	
1.2.1.5.5.	ელფოსტა:	ngogilidze@sakpatenti.org.ge

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. **მხარეები**, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **კანონმდებლობის** შესაბამისად დებენ **ხელშეკრულებას** (მათ შორის **საერთო პირობებს**), რომლის საფუძველზეც **ბანკი** გაუწევს **კლიენტს საბანკო პროდუქტით** მომსახურებას, რის სანაცვლოდაც **კლიენტი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **ბანკს საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ხელშეკრულებითა** და **კანონმდებლობით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. **საბანკო მომსახურების პირობები**

3.1.	სახელმწიფო შესყიდვის კოდი:	CPV-66110000;
3.2.	**საკომისიოს** ჯამური მოცულობა:	200 (ორასი) ლარი;
3.3.	<u>მოქმედების გაწევის ვადა/</u>**ხელშეკრულების** <u>მოქმედების</u> ვადა:	**საბანკო პროდუქტით** მომსახურებას **ბანკი კლიენტს** გაუწევს 2018 წლის 30 დეკემბრამდე, ხოლო **ხელშეკრულების** მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 იანვრამდე;
3.4.	სხვა პირობები:	1. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ მოთხოვნილ იქნება ისეთი მომსახურება/**ოპერაცია**, რომლის გაწევითაც/განხორციელებითაც გადაჭარბებულ იქნება წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 3.2. პუნქტში** მითითებული ჯამური მოცულობა, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განაცხადოს უარი ნებისმიერი შესაბამისი მომსახურების გაწევაზე/**ოპერაციის** განხორციელებაზე;

4. **ხელშეკრულების საერთო და დამატებითი პირობები, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები**

4.1. **ხელშეკრულების საერთო პირობები** დადგენილია **დანართით - საერთო პირობები**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. **დამატებითი პირობები** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ასახულია **დანართი Nა**-ში, რომელიც ასევე წარმოადგენს **ხელშეკრულების** შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

4.2. **ხელშეკრულების** ხელმოწერით **კლიენტი** ადასტურებს, რომ:

4.2.1. იგი გაეცნო **საერთო პირობების** შინაარსს და მიიღო ეს პირობები;

4.2.2. **საერთო პირობების** შინაარსი არ არის ბუნდოვანი ან/და იმდენად უჩვეულო, რომ არ შეეძლოს მათი გათვალისწინება;

4.2.3. **საერთო პირობების** შინაარსი არ ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და შესაბამისად არ არის საზიანო მისთვის.

4.3. **მხარეები** თანხმდებიან და აცნობიერებენ, რომ:

4.3.1. წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, საერთო პირობები** და **დანართ(ებ)ი (დამატებითი პირობების (დანართი Nა)** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) წარმოადგენენ ერთ მთლიან შეთანხმებას **მხარეთა** შორის;

4.3.2. წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას, საერთო პირობებსა** ან/და **დანართ(ებ)ს (დამატებითი პირობების (დანართი Nა)** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება:

4.3.2.1. პირველ რიგში, **დანართ(ებ)ს (დამატებითი პირობების (დანართი Nა)** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით). ამასთან, **დამატებით პირობებსა (დანართი Nა)** და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ს** შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება **დამატებით პირობებს (დანართი Nა)**;

4.3.2.2. შემდეგ წინამდებარე **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას (საერთო პირობების** და **დანართ(ებ)ის (დამატებითი პირობების (დანართი Nა)** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) გარეშე);

4.3.2.3. და ბოლოს, **საერთო პირობებს**.

4.4. **ხელშეკრულების** და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარ, **ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**.

5. **პრეტენზიები და დავები**

5.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე **პრეტენზიები** **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად **ხელშეკრულების საერთო პირობების** შესაბამისად.

5.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, **შესრულებასთან** და **აღსრულებასთან** დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

კლიენტის ხელმოწერა /_____/

5.3. მიუხედავად, **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 5.2. პუნქტით** განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ **მხარეთა** შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს **მუდმივმოქმედ არბიტრაჟს**. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში, ხოლო სადაო საკითხ(ებ)ი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცეს **მუდმივმოქმედ არბიტრაჟს**, ან მის სამართალმემკვიდრეს. საარბიტრაჟო განხილვა მოხდება **საერთო პირობების 9.4. პუნქტში** მოცემული დებულებების შესაბამისად.

6. **მხარეთა ხელმოწერები**

ბანკი

/_____/

კლიენტი

/_____/

კლიენტის ხელმოწერა /_____/

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N2 - ანგარიში

ქ. თბილისი

07 აგვისტო 2018 წელი

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების:
ნომერი: 101
დადების თარიღი: 07.08.2018;

1. **კლიენტს** შეიძლება გაეხსნას **მიმდინარე ანგარიში.**
2. **კლიენტი** უფლებამოსილია:
2.1. მოითხოვოს როგორც **ერთვალუტიანი ანგარიშის**, ისე **მულტისავალუტო ანგარიშის** გახსნა.
2.2. მოითხოვოს **ანგარიშის** დახურვა შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკში** დადგენილი წესებისა და **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით.
2.3. მოითხოვოს რამდენიმე **ანგარიშის** ერთდროულად გახსნა, **ხელშეკრულებით, კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
2.4. მისცეს **ბანკს დავალება ანგარიშზე ოპერაციების** განსახორციელებლად.
3. **კლიენტს ანგარიშიდან ოპერაციების** განსახორციელებლად გადაეცემა **ანგარიშის** ნომერი.
4. **კლიენტი** ვალდებულია:
4.1. **ანგარიშზე** თანხის შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში, **ბანკის** ან აღნიშნული თანხის მესაკუთრის მოთხოვნით, უმოკლეს გონივრულ ვადაში დაუბრუნოს თანხა მესაკუთრეს.
5. **ბანკი** ვალდებულია:
5.1. გაუხსნას **კლიენტს ანგარიში, კლიენტის** მიერ **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ განსაზღვრული აუცილებელი დოკუმენტების **ბანკისათვის** წარდგენის დღიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** განმავლობაში.
5.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარდგენილი შესაბამისი **დავალების** საფუძველზე **ანგარიშიდან** შესაბამისი ოდენობის თანხა დანიშნულებისამებრ გადარიცხოს აღნიშნული **დავალების ბანკისთვის** წარდგენიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში, თუ **კანონმდებლობით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
5.3. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით**, ხოლო **კანონმდებლობითა** და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, **დავალების** გარეშეც, შესაბამისი თანხა **კლიენტის ანგარიშიდან მესამე პირების** (ისევე როგორც **ბანკის**) საბანკო ანგარიშზე ჩასარიცხად.
5.4. მიიღოს **კლიენტისაგან** ნაღდი ფული **ანგარიშზე** შესატანად ან/და გასცეს **კლიენტზე** ნაღდი ფული **ანგარიშიდან.**
6. **ბანკი** უფლებამოსილია:
6.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე დახუროს **ანგარიში,** თუ აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მიერ არ მოხდა დარღვევის აღმოფხვრა.
6.2. საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, დროებით გამოიყენოს **ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსის სახით.
6.3. თუ **ოპერაციის** განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად **ანგარიშზე** თავისუფალი (**ბანკისათვის** ხელმისაწვდომი) თანხა არ არის საკმარისი, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეაჩეროს ან/და უარი განაცხადოს **ოპერაციის** განხორციელებაზე.
6.4. **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე შეცვალოს **ანგარიშის** ტიპი, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა სრულად და ჯეროვნად შესრულების მიზნით.
6.5. **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე ჩამოწეროს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს ანგარიშზე** შეცდომით ჩარიცხული თანხა. **კლიენტი** იღებს ვალდებულებას, **ანგარიშზე** შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენების (სრულად ან ნაწილობრივ) შემთხვევაში გადაუხადოს **ბანკს** ყოველდღიური **პირგასამტეხლო** ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) გამოყენებული თანხის მოცულობის 0.5%-ის მოცულობით.
6.6. **მესამე პირის** მიერ **ანგარიშზე** თანხის შეცდომით ჩარიცხვის/შეტანის შემთხვევაში, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე: ა) **კლიენტსა** და შესაბამის **მესამე პირს** შორის დავის მოგვარებამდე დაბლოკის აღნიშნული თანხა ან/და ბ) ჩამოჭრას შეცდომით ჩარიცხული თანხა **ანგარიშიდან** და დაუბრუნოს შესაბამის **მესამე პირს.**
7. **ანგარიშის** დახურვა მოხდება შემდეგ შემთხვევებში:
7.1. **ანგარიშზე, ანგარიშის** მომსახურების ან **ანგარიშის** დახურვის **საკომისიოს** ოდენობის ნაშთის და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში **ოპერაციების** არარსებობისას. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **ამ პუნქტით** განსაზღვრული გარემოების დადგომისას არ დახუროს **ანგარიში,** თუ **კლიენტს ბანკში** გახსნილი აქვს სხვა **ანგარიში,** რომელზეც ამავე პერიოდში ხორციელდებოდა სხვა **ოპერაციები.**
7.2. **ხელშეკრულებითა** და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8. დაუშვებელია **ანგარიშის** დახურვა თუ იგი წარმოადგენს აქტიური კრედიტის **მომსახურე ანგარიშს.**

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

კლიენტი

/_____/

კლიენტის ხელმოწერა /_____/

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობები

თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებულ** **სხვა ხელშეკრულებაში** ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **ავტომატური გადახდები – ხელშეკრულების დანართ #3-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.
- **ავტორიზაცია - წვდომის კოდის** საშუალებით **კლიენტის** იდენტიფიკაციის პროცედურა, რომლის საფუძველზეც **ბანკი** უსაფრთხოდ განახორციელებს **საბანკო პროდუქტით** მომსახურებას.
- **ამონაწერი** - ინფორმაცია **ანგარიშზე** ჩატარებული **ოპერაციის** შესახებ.
- **ანგარიში – ბანკში** არსებული **კლიენტის მიმდინარე ანგარიში**.
- **არასანქცირებული ოვერდრაფტი - ბანკის** თანხმობის/ნებართვის გარეშე **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** წარმოშობილი უარყოფითი ნაშთი.
- **ბანკი** - სს "საქართველოს ბანკი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869.
- **ბანკომატი** – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **პირს** შეუძლია ნაღდი ფულის გატანა/შეტანა, ასევე, **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა **ოპერაციების** წარმოება.
- **ბარათი** - საერთაშორისო პლასტიკური ბარათი, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშთან**.
- **ბარათის 3D უსაფრთხოება - ხელშეკრულების დანართი #12-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი.**
- **გადარიცხვა** – უნაღდო ანგარიშსწორების წესით **კლიენტის ანგარიშზე** არსებული ნაშთიდან თანხის გადარიცხვა **მიმღების** შესაბამის საბანკო ანგარიშზე.
- **გადახდა – კლიენტის** მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულება.
- **განაცხადი – კლიენტის** მიმართვა **ბანკისადმი** (**ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით), რომ **ბანკმა** განაცხადშივე განსაზღვრული პირობების შესაბამისად, განახორციელოს ან/და შეაჩეროს/შეწყვიტოს **საბანკო პროდუქტით** მომსახურება.
- **განცხადებები და გარანტიები – საერთო პირობების მე-4 მუხლში** მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები.
- **დავალება** - **საბანკო პროდუქტით** მომსახურების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი დავალება ან/და მითითება, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **ბანკს**.
- **დამატებითი პირობები – ხელშეკრულების #ა დანართით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით.
- **დანართი** – თუკი **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულებით** ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული **ხელშეკრულების** ან **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულების** დანართ(ებ)ი (**დამატებითი პირობების** (**დანართი Nა**) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული დანართ(ებ)ის ჩათვლით) ან/და **განაცხადი** (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** ან **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- **დისტანციური საბანკო პროდუქტი – საბანკო პროდუქტი**, რომლის მეშვეობითაც **საბანკო პროდუქტით** მომსახურება ხორციელდება **კლიენტის ბანკში** მიუსვლელად.
- **დოკუმენტი** – მოწყობილობა, რომელიც გადაეცემა **პასუხისმგებელ პირს** და რომელიც აგენერირებს ექვსნიშნა ერთჯერად კოდებს, რაც თავის მხრივ გამოიყენება **ინტერნეტბანკში ავტორიზაციისა** და **ოპერაციების** განხორციელებისათვის.
- **ელექტრონული საბუთი** - ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე მოთავსებული ტექსტი, რომელსაც ადევს **ელექტრონული ხელმოწერა** და რომელიც **მხარეთა** შორის ურთიერთობაში წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
- **ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ საბუთზე** მოთავსებული ტექსტის დანამატი, რომელიც საშუალებას აძლევს მიმღებს დაადგინოს ავტორის ვინაობა.
- **ერთვალუტიანი ანგარიში – ანგარიში**, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში.
- **ვებ–გვერდი – ბანკის** სარგებლობაში არსებული ინტერნეტ–გვერდ(ებ)ი.
- **ინტერნეტბანკი - ხელშეკრულების დანართ #7-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.
- **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- **კლიენტი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში**.
- **კონვერტაცია - კლიენტის** მიერ ერთი ვალუტის სანაცვლოდ, სხვა ვალუტის შეძენა.
- **ლიმიტი - კლიენტის** მიერ **საბანკო პროდუქტით** სარგებლობის და **ოპერაციის** განხორციელებისას, **ბანკის** მიერ დაწესებული ფინანსური თუ ნებისმიერი სხვა სახის ლიმიტი/შეზღუდვა/აკრძალვა.
- **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულება** (ან **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულება**) – **ხელშეკრულების** საფუძველზე და მის შესაბამისად (ა) **ბანკსა** და **კლიენტს**, ან **ბანკს/კლიენტსა** და **მესამე პირს** შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, უზრუნველყოფის ხელშეკრულება, თავდებობის ხელშეკრულება ან/და დოკუმენტები, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით** ან/და ხდება მის საფუძველზე; ან/და (ბ) **ბანკსა** და **კლიენტს**, ან **ბანკს/კლიენტსა** და **მესამე პირს** შორის დადებული სხვა სახის ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საბანკო მომსახურებით სარგებლობისათვის ან/და მათ უზრუნველსაყოფად.
- **მესამე პირი** – ნებისმიერი **პირი** გარდა **კლიენტისა** და **ბანკისა**.
- **მიმდინარე ანგარიში – სტანდარტული მიმდინარე ანგარიში** ან/და **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში**, რომლებზეც აღირიცხება **კლიენტის** ფულადი სახსრები და რომლებსაც განკარგავს **კლიენტი** **გადახდების** განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.
- **მიმღები** - **პირი**, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება **გადახდის/გადარიცხვის ოპერაცია**.
- **მომენტალური განვადებით მომსახურება - ხელშეკრულების დანართი #11-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი.**
- **მუდმივი საგადახდო დავალება - ხელშეკრულების დანართ #4-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.
- **მუდმივმოქმედი არბიტრაჟი** - შპს „დავების განმხილველი ცენტრი", საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge.
- **მულტისავალუტო ანგარიში – ანგარიში**, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე და რომელიც რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ **ანგარიშს**.
- **მხარე/მხარეები – კლიენტი** ან/და **ბანკი**, კონტექსტის შესაბამისად.
- **ოპერაცია - ბანკის** მიერ **კლიენტის დავალებით** განხორციელებული ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურება.
- **პასუხისმგებელი პირი** - **კლიენტის** წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია **კლიენტის** სახელით განახორციელოს **ოპერაციები ინტერნეტბანკის** ფარგლებში.
- **პირგასამტეხლო** – **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის **ბანკისათვის** გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული** **სხვა ხელშეკრულებით**.
- **პირი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.
- **პოს-ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება კომერციულ ბანკებში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბანკო პლასტიკური ბარათით გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად.
- **პოს-ტერმინალით მომსახურება - ხელშეკრულების დანართი #10-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი.**
- **პროვაიდერი – პირი**, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას **კანონმდებლობის** შესაბამისად.
- **საბანკო დღე** – დღე (შაბათის, კვირის ან **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას.
- **საბანკო პროდუქტი – ხელშეკრულების მე-2 მუხლით** განსაზღვრული საბანკო პროდუქტები, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დანართ(ებ)ით.
- **სადებეტო ოპერაცია** - ოპერაცია, როდესაც ხდება **ანგარიშზე** არსებული თანხის შემცირება.
- **საერთო პირობები** - წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული **საბანკო მომსახურების** შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობები.

- **საკომისიო** – **კლიენტის** მიერ **საბანკო პროდუქტით** სარგებლობისათვის **ბანკის** სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა განისაზღვრება **ხელშეკრულების დანართ #1-ით**, ხოლო საკომისიოს დარიცხვისა და გადახდის პირობები განისაზღვრება **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად.
- **სამსახურებრივი ბარათის მფლობელი - კლიენტის** მიერ განსაზღვრული **პირი** (მათ შორის **კლიენტის** თანამშრომელი), რომელიც ფლობს და განკარგავს **სამსახურებრივ ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე** არსებულ თანხას.
- **სამსახურებრივი ბარათი - ხელშეკრულების დანართ #5-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.
- **სახელფასო პროგრამა - ხელშეკრულების დანართ #9-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.
- **სტანდარტული მიმდინარე ანგარიში - მიმდინარე ანგარიში**, რომელზეც არ არის მიბმული **ბარათი** და რომლითაც შესაძლებელია ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება.
- **ტელეფონის ნომერი - კლიენტის** მიერ, **SMS ბანკის** განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერი.
- **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში - მიმდინარე ანგარიში**, რომელზეც მიბმულია **ბარათი**.
- **ფორს-მაჟორი** – სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და **ბანკისათვის** გადაულახავი და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული **ბანკის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე.
- **შეტყობინების სერვისი - ხელშეკრულების დანართ #8-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.
- **შვილობილი კომპანია – ბანკთან** მიმართებაში, ნებისმიერი კომპანია, რომლის წილის, აქციების ან/და ხმების არანაკლებ 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან რომელსაც სხვაგვარად მართავს **ბანკი**.
- **წვდომის კოდი** - ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც **ბანკმა** შესაძლოა მიაწოდოს **კლიენტს საბანკო პროდუქტით** მომსახურების უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით.
- **ხელშეკრულება** – (ა) **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **განაცხადი**; (ბ) **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება**; (გ) **საერთო პირობები**; (დ) **მხარეთა** შორის დადებული **დანართ(ებ)ი (დამატებითი პირობების (დანართი N-ს)** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) და (ე) ნებისმიერი დამატებითი **დანართი** ან/და **განაცხადი**, რომელიც დაიდება მომავალში, მათში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.
- **KEY ფაილი** – ელექტრონული ფაილი, რომელიც გადაეცემა **პასუხისმგებელ პირს** და რომელიც გამოიყენება **ინტერნეტბანკში ავტორიზაციისათვის**.
- **SMS ბანკი - ხელშეკრულების დანართ #6-ით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტი**.

1. საბანკო პროდუქტით მომსახურების ზოგადი პირობები

1.1. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საბანკო პროდუქტით** მომსახურების მიღების ან/და სარგებლობის შეწყვეტის მიზნით **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს განაცხადით**. **ბანკის** მიერ **განაცხადის** განხილვა მოხდება იმ პირობით, თუ **კლიენტის** მიერ **განაცხადის** შევსების დროს დაკმაყოფილებული იქნება **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა პირობა.

1.2. **ბანკის** მიერ **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** იღებს ვალდებულებას გაუწიოს **კლიენტს** შესაბამისი **განაცხადით** განსაზღვრულ **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული მომსახურება, ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას შეასრულოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობები და გადაიხადოს **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.3. თუ **კლიენტს** არ გააჩნია **საერთო პირობების დანართებით** განსაზღვრული რომელიმე **საბანკო პროდუქტით** სარგებლობის უფლება, მასზე არ ვრცელდება **საერთო პირობების** (მისი **დანართების**) შესაბამისი პუნქტები/ქვეპუნქტები. აღნიშნული პუნქტები/ქვეპუნქტები **კლიენტისათვის** ამოქმედდება კონკრეტული **საბანკო პროდუქტით** სარგებლობის უფლების მინიჭებასთან ერთად.

1.4. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ავტორიზაციის** შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს **დისტანციური საბანკო პროდუქტით** განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს **კლიენტის** პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** განხორციელებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო **კლიენტის** ან/და **მესამე პირის** მიერ.

1.5. **კლიენტმა** არ უნდა ისარგებლოს **საბანკო პროდუქტით**, თუ ამას შედეგად მოჰყვება **ანგარიშზე** ხელმისაწვდომი თანხის გადახარჯვა (0-ის ნიშნულის ქვემოთ ჩამოსვლა) **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება **ლიმიტის** გადაჭარბება. **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ნებისმიერ **ანგარიშზე**, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, დაუშვას **არასანქცირებული ოვერდრაფტი**, რომლის პირობებს ცალმხრივად განსაზღვრავს **ბანკი**.

1.6. **ბანკი** უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს ან/და დროებით შეწყვიტოს **საბანკო პროდუქტით** მომსახურება ნებისმიერ დროს, რის თაობაზეც **ბანკი** აცნობებს **კლიენტს**, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თუმცა **ბანკის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება მის მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევად.

1.7. **კლიენტი** ვალდებულია **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ ისარგებლოს მის მიერ მოთხოვნილი **საბანკო პროდუქტით** (თუ უშუალოდ **საბანკო პროდუქტით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული). იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** აღნიშნული ვადის განმავლობაში არცერთხელ არ ისარგებლებს მოთხოვნილი და გააქტიურებული **საბანკო პროდუქტით**, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეუწყვიტოს/შეუჩეროს **კლიენტს** შესაბამის **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული მომსახურება. ერთ–ერთ **საბანკო პროდუქტთან** დაკავშირებული მომსახურების შეწყვეტა/შეჩერება არ იწვევს სხვა მოქმედი **საბანკო პროდუქთის** მომსახურების შეწყვეტას. ამასთან, თუ **კლიენტის** სარგებლობაში დარჩენილია მხოლოდ ერთი **საბანკო პროდუქტი**, მისი მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ხელშეკრულება**.

1.8. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შესაბამისი **განაცხადით** მოსთხოვოს **ბანკს საბანკო პროდუქტით** განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** კონკრეტული **საბანკო პროდუქტით** სარგებლობიდან გამომდინარე არ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება (ფინანსური თუ ნებისმიერი სხვა სახის) **ბანკის** წინაშე.

1.9. **კლიენტი** პასუხისმგებელია **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის ცვლილებისას 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში წერილობით შეატყობინოს **ბანკს** ცვლილების განხორციელების თაობაზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბანკი** თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ **განაცხადში** დაფიქსირებული ინფორმაცია არ შეესაბამება **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს და ამის გამო **კლიენტი** ვერ მიიღებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას.

1.10. **კლიენტი** ვალდებულია, უსაფრთხოდ და საიდუმლოდ შეინახოს **წვდომის კოდი** და მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ არ მოხდეს მისი **არაავტორიზებული** გამოყენება. კერძოდ: ა) არასოდეს დაწეროს **წვდომის კოდი** ისე, რომ ის ხელმისაწვდომი გახდეს **მესამე პირისთვის**; ბ) არ გაუმხილოს **წვდომის კოდი მესამე პირს**, მათ შორის **ბანკის** თანამშრომლებს/ოპერატორებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ეს გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** მოთხოვნით; გ) არასოდეს ჩაწეროს **წვდომის კოდი** ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელიც ავტომატურად ინახავს ინფორმაციას (მაგალითად, კომპიუტერის „პაროლის შენახვის" ფუნქცია ან ინტერნეტის სხვა მსგავსი ფუნქცია); დ) არ განახორციელოს სხვა ისეთი ქმედება, რასაც შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს **წვდომის კოდზე მესამე პირის** წვდომა.

1.11. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს მესამე პირის** მიერ **საბანკო პროდუქტის არაავტორიზებული** გამოყენების შესახებ ან ნებისმიერი **არაავტორიზებული ოპერაციის** ან **დავალების** შესახებ, რომლის თაობაზეც **კლიენტმა** შეიტყო ან გაუჩნდა ეჭვი, ან როდესაც **კლიენტს** აქვს ეჭვი, რომ **მესამე პირისთვის** ცნობილი გახდა მისი **წვდომის კოდი**.

1.12. თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე: ა) **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს **მესამე პირს**; ბ) **კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მიუხედავად იმისა ამგვარი ინფორმაცია მიღებულია თავად **კლიენტის** მხრიდან თუ ნებისმიერი სხვა საშუალებით) გადასცეს **მესამე პირს**, **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ან/და **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

1.13. **მხარეები, კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების (რაც დაკავშირებულია შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული რეგულაციების დაწესებასთან) დაცვის უზრუნველსაყოფად თანხმდებიან, რომ **ბანკი** შესაბამის **კლიენტ(ებ)თან** (**კანონმდებლობით** განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებთან, რომლებიც ექცევიან აღნიშნულ რეგულაციებში) ითანამშრომლებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

1.13.1. დაუშვებელია **კლიენტის ბანკში** არსებულ/გახსნილ **მიმდინარე ანგარიშზე კლიენტის** მიერ ნებისმიერი ოპერაციის განხორციელება (თავის მხრივ **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი ამგვარი **ოპერაციის** განხორციელებაზე), გარდა სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი აწგარიშ(ებ)იდან თანხის **ბანკში** არსებულ **ანგარიშზე** გადმოტანისა, სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშებზე თანხის **ბანკში** არსებული **ანგარიშიდან**

გადატანისა/დაბრუნებისა, **ბანკში** არსებულ სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადატანისა და აღნიშნული სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)იდან თანხის დაბრუნებისა;

1.13.2. დაუშვებელია **კლიენტის ბანკში** არსებულ/გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე **კლიენტის** მიერ ნებისმიერი **ოპერაციის** განხორციელება (თავის მხრივ **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი **ოპერაციის** განხორციელებაზე), გარდა სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე თანხის შეტანისა, სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის გადატანისა შესაბამის **მიმდინარე ანგარიშიდან** და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)იდან თანხის დაბრუნებისა **მიმდინარე ანგარიშზე;**

1.13.3. **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით გადაირიცხება **კლიენტის** სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშ(ებ)ზე;

1.13.4. **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე **ბანკის** მიერ საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდის გასვლის ან შესაბამისი ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემდეგ შესაბამის **მიმდინარე ანგარიშზე** ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები გადაირიცხება **კლიენტის** სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშ(ებ)ზე;

1.13.5. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის დადება და აღნიშნული შეზღუდვით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, მათ მიმართ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში;

1.13.6. **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც კრედიტიდან (საკრედიტო ხაზი, საბანკო კრედიტი ან/და ოვერდრაფტი), საბანკო გარანტიიდან ან/და აკრედიტივიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალება;

1.13.7. **კლიენტის** მიერ **ბანკში** ანგარიშ(ებ)ის გახსნა, რომელზეც არ ვავრცელდება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული შეზღუდვები საჭიროებს უფლებმოსილი ორგანოს თანხმობას **კანონმდებლობით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ამასთან აღნიშნული ანგარიშ(ე)ბიდან განხორციელებულ **ოპერაციაზე** სრული პასუხისმგებლობა ეკისრება **კლიენტს;**

1.13.8. სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე შეაჩეროს/შეწყვიტოს ნებისმიერი შესაბამისი **ოპერაციის** განხორციელება, გადარიცხოს **მიმდინარე ანგარიშზე** ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები **კლიენტის** სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშ(ებ)ზე ან/და დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი **მიმდინარე ანგარიში** ან/და სადეპოზიტო ანგარიში;

1.13.9. ვინაიდან **კანონმდებლობით** დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, **ბანკი** ვერ უზრუნველყოფს **ხელშეკრულების** შესაბამისად **კლიენტის** მიერ გადასახდელი **საკომისიოს** ჩამოჭრას **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან, **კლიენტი** თავად უზრუნველყოფს ყველა იმ **საკომისიოს** ან/და გადასახდელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **ბანკისათვის** გადახდას, რომლებიც გათვალსიწინებულია **ხელშეკრულებით.** გადახდა განხორციელდება **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ამასთან, **კლიენტი** აძლევს **ბანკს** გამოუთხოვად დავალებას/ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ მიმართოს სახელმწიფო ხაზინას (მოითხოვოს) **კლიენტის** ხაზინაში არსებული ანგარიშ(ებ)იდან **კლიენტის** მიერ დასაფარი ნებისმიერი **საკომისიოს** ან/და გადასახდელის **ბანკისათვის** გადარიცხვის თაობაზე;

1.13.10. **ბანკი** უფლებამოსილია:

1.13.10.1. **კლიენტის** შემდგომი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე **კლიენტის ბანკში** არსებული ანგარიშ(ებ)იდან ჩამოჭრას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული თანხები და მიმართოს შესაბამისი მოთხოვნის დასაფარად;

1.13.10.2. დააზუსტოს/გადაამოწმოს სახელმწიფო ხაზინასთან **კლიენტის** მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი **ოპერაციის კანონმდებლობასთან** შესაბამისობის ფაქტი, ასევე მიაწოდოს სახელმწიფო ხაზინას ინფორმაცია **კლიენტის** მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი **ოპერაციის** ან/და **კლიენტის** საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთების შესახებ.

2. საბანკო პროდუქტების ჩამონათვალი

2.1. **ანგარიში.**

2.2. **ავტომატური გადახდები.**

2.3. **მუდმივი საგადახდო დავალება.**

2.4. **ბიზნეს ბარათი.**

2.5. **SMS ბანკი.**

2.6. **ინტერნეტბანკი.**

2.7. **შეტყობინების სერვისი.**

2.8. **სახელფასო პროგრამა.**

2.9. **პოს-ტერმინალით მომსახურება.**

2.10. **მომენტალური განვადებით მომსახურება.**

2.11. **ბარათის 3D უსაფრთხოება.**

3. მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები

3.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **მხარეები:**

3.1.1. უფლებამოსილნი არიან სრულად და ჯეროვნად ისარგებლონ **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებებით;

3.1.2. მოვალენი არიან სრულად და ჯეროვნად შეასრულონ **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვალდებულებები.

4. განცხადებები და გარანტიები

4.1. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

4.1.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);

4.1.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

4.1.3. მომავალში **დანართის** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

4.1.4. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულები** იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის** ან **მესამე პირის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

4.1.5. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), **კანონმდებლობის** ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

4.1.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებას;

4.1.7. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

4.1.8. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი **ხელშეკრულების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

4.1.9. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

4.1.10. მისთვის ცნობილია, რომ **ბანკის** პოლიტიკა მკაცრად კრძალავს **ბანკის** დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ **პირის**, **ბანკის**, მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ან მისი კლიენტის მიერ სარგებლის მიღების, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

4.1.11. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ **პირს**, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებული **პირს** ან/და მის აფილირებულ **პირს**:

4.1.11.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებას**; ან/და

4.1.11.2. არ შეუთავაზებია ან მიუღია ღირებულების მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა **ბანკის**, მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული **პირის** მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით; ან/და

4.1.11.3. სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

4.2. **კლიენტის** აღნიშნული **განცხადებები და გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

4.3. **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან და გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **კლიენტის** აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.

4.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **კლიენტის** ზემოაღნიშნული **განცხადებების და გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებებს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** თანხმაა და აცხადებს, რომ **საბანკო პროდუქტით** განსაზღვრული მომსახურების განხორციელების პროცესში, **ბანკი** სრულად თავისუფლდება **კლიენტის** წინაშე ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან (მათ შორის ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანის (ზარალის) ანაზღაურებისაგან), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს **ბანკის** ბრალეული ქმედების გარეშე.

5.2. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

5.3. **მხარე**, რომელსაც დაუდგა **ფორს-მაჟორი**, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღისა**, აცნობოს მეორე **მხარეს** შესაბამისი **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორის** არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

5.4. შეტყობინებაში მითითებული **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან მეორე **მხარეს** ეჭვი შეაქვს მათ ნამდვილობაში, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღებიდან ან შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობაზე ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების მეორე **მხარისათვის** გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

5.5. თუ **ფორს-მაჟორის** მოქმედება, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში **მხარეებმა** უნდა გადაწყვიტონ **ხელშეკრულების** ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ხელშეკრულება** ძალადაკარგულად ჩაითვლება.

5.6. მიუხედავად **საერთო პირობების 5.1. პუნქტით** განსაზღვრული გარანტიებისა, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

5.6.1. არ გადაუხადოს **კლიენტს ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელის (**პირგასამტეხლო**, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და სხვა) ანგარიშში;

5.6.2. **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან**, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე ჩამოწეროს ყველა გადასახადი, ხოლო თუ გადასახადი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განაახორციელოს **კონვერტაცია** გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით და კონვერტირებული თანხა მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად;

5.6.3. შესაბამისი გადასახადის ოდენობით **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშზე**, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, არაუმეტეს ერთი წლის ვადით, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად დაუშვას **ოვერდრაფტი** და დაარიცხოს მას **საკომისიო** ან/და საპროცენტო სარგებელი, გადახდის მომენტისათვის, **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. ანგარიშსწორება

6.1. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6.2. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა **საკომისიოს** გადახდისა, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, **პირგასამტეხლოს** მოთხოვნის დღიდან და სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის წაცვლად გამოიყენება მომდევნო **საბანკო დღე**.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6.4. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.

7. კომუნიკაცია მხარეთა შორის

7.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, თუ კონკრეტული **საბანკო პროდუქტით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისათვის** შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის. ელექტრონული ფოსტის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის (მათ შორის, როდესაც გამგზავნ **მხარეს** წარმოადგენს **ბანკი - ვებ-გვერდზე**) შესაბამისი ინფორმაციის განთავსების) გზით, იმ პირობით, რომ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, **ბანკის** მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში **ბანკს** წარედგინება შეტყობინების წერილობითი ფორმითაც.

7.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად დადებულად:

7.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **ბანკის** მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კლიენტის** მიერ, **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო **საბანკო დღეს**;

7.2.2. ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის (მათ შორის, როდესაც გამგზავნ **მხარეს** წარმოადგენს **ბანკი - ვებ-გვერდზე** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების) შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **ბანკის** მიერ, გაგზავნის თარიღიდან მეორე **საბანკო დღეს**; (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კლიენტის** მიერ, **ბანკის** მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების ან შესაბამისი ქმედების განხორციელების თარიღიდან.

7.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

7.4. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

7.5. **ხელშეკრულებით** შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება **საერთო პირობების 7.1. პუნქტით** გათვალისწინებული კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ–ერთი საშუალებით, ან განსხვავებული ფორმით.

8. კონფიდენციალურობა

8.1. **მხარეები** ვალდებული არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე **მხარისაგან** მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

8.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

8.2.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები **მხარისათვის** მეორე **მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

8.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

8.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

8.2.4. თუ ინფორმაციის **მესამე პირისთვის** გამჟღავნება მოხდება ა) **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი **მხარე** სრულად აგებს პასუხს **მესამე პირის** მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე **მხარისგან** დამოუკიდებლად.

8.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **მესამე პირს კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

8.4. მიუხედავად **საერთო პირობების 8.1. პუნქტით** გათვალისწინებული შეზღუდვისა, **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უპირობო უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის თუ აქცეპტის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში:

8.4.1. სს „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე **კლიენტის** მსხვილი აქციონერებისა/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ ვალთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

8.4.2. მისცეს თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ **ბანკის** მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსათვის" ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისათვის მიწოდებული **კლიენტის** მონაცემები სს „კრედიტინფო საქართველომ" ან ნებისმიერმა სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებამ გადასცეს **მესამე პირს**, იმ პირობით რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირებისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან სს „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება სს „კრედიტინფო საქართველოსთან" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან;

8.4.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს „კრედიტინფო საქართველოსთან" ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული **კლიენტის** მონაცემები.

9. პრეტენზიები და დავები

9.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9.3. მიუხედავად, **საერთო პირობების 9.2. პუნქტით** განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ **მხარეთა** შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს **საერთო პირობების 9.4. პუნქტით** განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში.

9.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი დავის **საერთო პირობების 9.3. პუნქტით** გათვალისწინებული წესით არბიტრაჟისათვის გადაცემის შემთხვევაში:

9.4.1. სადაო საკითხ(ებ)ი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა **მუდმივმოქმედ არბიტრაჟს**, ან მის სამართალმემკვიდრეს;

9.4.2. საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება საქართველოში (ქ. თბილისში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (**კანონმდებლობის**) შესაბამისად და **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტის/დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო ამ **პუნქტით** განსაზღვრულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან **მხარეთა** დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული;

9.4.3. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, **მხარეთა** შორის დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს თავად **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან;

9.4.4. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, **მხარეთა** შორის დავა განიხილება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან დანიშნული 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელშიც თითო არბიტრს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტის/დებულების შესაბამისად ნიშნავს თითოეული **მხარე**, ხოლო მესამე არბიტრს - **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე. ამასთან:

9.4.4.1. მოსარჩელე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მოპასუხე - მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში (თუ მოპასუხე წარმოდგენილია ერთზე მეტი პირით, მაშინ ვადის ათვლა იწყება საარბიტრაჟო სარჩელის ერთ-ერთი მათგანისათვის (ყველაზე ადრე ჩაბარების გათვალისწინებით) ჩაბარების შემდეგი დღიდან. თუ კი საარბიტრაჟო დავაში რომელიმე **მხარეს** მონაწილეობს ერთზე მეტი პირი, მათ ერთობლივად უნდა ისარგებლონ არბიტრის დანიშვნის უფლებით;

9.4.4.2. მესამე არბიტრის, რომელიც ამავე დროს იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, დანიშვნის უფლებას **მხარეები** გადასცემენ **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;

9.4.4.3. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე **მხარე** არ დანიშნავს არბიტრს **საერთო პირობების 9.4.4.1. ქვეპუნქტით** გათვალისწინებულ ვადაში ჩაითვლება, რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით და რომ არბიტრის დანიშვნის უფლებას იგი გადასცემს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე არბიტრს ნიშნავს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან, შესაბამისი **მხარის** მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

9.4.5. **საერთო პირობების 9.4.3**. და **9.4.4. ქვეპუნქტის** პირობ(ებ)ის შესაბამისად არბიტრის დანიშვნის თანადროულად შესაბამისმა **მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს უნდა წარუდგინოს არბიტრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა არბიტრობაზე;

9.4.6. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში, არბიტრს შეუწყდება უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი **მხარის** დასაბუთებული წერილობითი განცხადებით;

9.4.7. **მხარეს**, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს და არბიტრებს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე **მხარე** არ დაეთანხმება აცილებას მისთვის არბიტრის აცილების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე ამ ვადის ამოწურვიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არ გასაჩივრდება და **მხარეები** თანხმდებიან არბიტრის აცილების მოთხოვნით არ მიმართონ სასამართლოს;

9.4.8. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან აცილებიდან/თვითაცილებიდან 7 (შვიდი) კალენდალური დღის ვადაში ამგვარი არბიტრის ნაცვლად არბიტრს ნიშნავს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან;

9.4.9. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, **მხარეს** შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს შესაბამისად **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ მათი ცნობა არ არის საჭირო;

9.4.10. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება მოპასუხისათვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემის მომენტიდან;

9.4.11. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება:

9.4.11.1. 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე;

9.4.11.2. 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე.

9.4.12. საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო თუ სხვა მოსაკრებელს და გადასახდელს გადაიხდის/აანაზღაურებს და ხარჯებს გაიღებს/აანაზღაურებს წაგებული **მხარე**;

9.4.13. მოპასუხეს უფლება აქვს საარბიტრაჟო სარჩელზე შესაგებელი/შეპასუხება წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ჩაითვლება, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა შესაგებელზე/შეპასუხებაზე;

9.4.14. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაიზარდოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ვადისა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც სხვა აუცილებელ შემადგენელ ნაწილებთან ერთად უნდა შეიცავდეს ასევე სამოტივაციო ნაწილს, უნდა გადასცეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელი გადაწყვეტილებაც უნდა გადაეცეს **მხარეს** მისი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნისთანავე;

9.4.15. თითოეულ **მხარეს** უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მის მიერ მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მოთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს:

9.4.15.1. გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

9.4.15.2. მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით;

9.4.15.3. გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში;

9.4.16. ყველა კომუნიკაცია **მხარეებს**, **მუდმივმოქმედ არბიტრაჟსა** და საარბიტრაჟო სასამართლოს შორის უნდა წარმოებდეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** კანცელარიის მეშვეობით;

9.4.17. საარბიტრაჟო დავის განხილვის წესები და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება არც **ხელშეკრულებით**, არც **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტით/დებულებით და არც **კანონმდებლობით**, გადაწყდება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლოს ფორმირების შემდეგ - საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

10.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი დადების/ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვადით.

10.2. **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

10.2.1. **ბანკის** მიერ ნებისმიერ დროს, **კლიენტისათვის** 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

10.2.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

10.2.3. **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი კანონმდებლობის** საფუძველზე მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები.

10.4. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

11. ცვლილებები და დამატებები

11.1. **ხელშეკრულებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.

11.2. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და დამატება წარმოადგენს **ხელშეკრულების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

12. სხვა პირობები

12.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

12.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

12.3. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

12.4. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

12.5. **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით, კონტექსტის შესაბამისად.

12.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

12.7. **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში** გამოყენებული ტექსტი მოყვანილია განმარტებულ ტერმინთა გამოსაყოფად, მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

12.8. **ხელშეკრულების დანართსა** და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაზე** სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **ხელშეკრულების** და **ხელშეკრულების დანართსა** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართის** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **დანართი** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება.**

12.9. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულები** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

12.10. **კლიენტს** უფლება არ აქვს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის, მათი **დანართით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **ბანკის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებას მიიღოს **მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა **კლიენტი.**

12.11. **ხელშეკრულება** განიმარტება და რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

12.12. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** შედგნილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

კლიენტი

/_____/

კლიენტის ხელმოწერა/_____/

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N9 - სახელფასო პროგრამა

ქ. თბილისი 07 აგვისტო 2018 წელი

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების:

ნომერი: 101;

დადების თარიღი: 07.08.2018;

- **დოკუმენტი - ინდივიდუალური მოთხოვნის** დროს **თანამშრომლის** მიერ **ბანკში** წარსადგენი დოკუმენტი, რომლითაც **კლიენტი** ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტის **ბანკში** წარმდგენი **პირი** ნამდვილად წარმოადგენს **თანამშრომელს;**
- **თანამშრომელი – კლიენტის** მიერ განსაზღვრული ფიზიკური პირი, რომლისთვისაც შესაბამისი გარიგების საფუძველზე, თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრება **კლიენტს;**
- **თანამშრომლის არსებული ბარათი - კლიენტის სახელფასო პროგრამაში** ჩართვამდე, **თანამშრომლის** მფლობელობაში არსებული საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლის დაკავშირებაც ხდება **სახელფასო ანგარიშთან;**
- **თანამშრომლის ბარათი** - საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელიც დაკავშირებულია **სახელფასო ანგარიშთან;**
- **თანამშრომლის განაცხადები - სახელფასო ანგარიშის** გახსნისა და **თანამშრომლის ბარათის** დამზადების შესახებ **ბანკისათვის** წარსადგენი განაცხადები ერთობლივად;
- **თანხა - კლიენტის** მიერ **თანამშრომლისათვის** რეგულარულად გადასახდელი თანხა (ხელფასი ან/და მომსახურების საფასური);
- **ინდივიდუალური მოთხოვნა -** უშუალოდ **თანამშრომლის** მიმართვა **ბანკისადმი** (სხვა **პირის** შუამავლობის გარეშე), **სახელფასო ანგარიშის** გახსნისა და **თანამშრომლის ბარათის** დამზადების მიზნით;
- **სახელფასო ანგარიში - თანამშრომლის** საბანკო ანგარიში, რომელზეც **კლიენტი** რიცხავს **თანხას;**
- **სახელფასო უწყისი - კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** გადაცემული დოკუმენტი (როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმის), რომლითაც განისაზღვრება **თანამშრომლისათვის სახელფასო ანგარიშზე თანხის** ჩარიცხვის კონკრეტული პირობები.

1. **სახელფასო პროგრამის** ფარგლებში **ბანკი** განახორციელებს: ა) **თანამშრომლის განაცხადებით** განსაზღვრული **სახელფასო ანგარიშების** გახსნას და მათთან დაკავშირებული **თანამშრომლის ბარათების** დამზადებას; ბ) **კლიენტის** მიერ გაცემული შესაბამისი **დავალების** საფუძველზე, ამავე **დავალებაში** განსაზღვრული **ანგარიშიდან, თანამშრომლისთვის** გადასახდელი **თანხის გადარიცხვას სახელფასო ანგარიშზე, სახელფასო უწყისით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. **კლიენტი** ვალდებულია:

2.1. **თანამშრომლისათვის სახელფასო ანგარიშის** გახსნისა და **თანამშრომლის ბარათის** დამზადების მოთხოვნისას წარუდგინოს **ბანკს** აღნიშნული მოთხოვნა (მათ შორის შესაბამისი **თანამშრომლების** სია, მათი სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით ან/და **ბანკის** მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია) როგორც ელექტრონულად (მათ შორის პორტირებადი მეხსიერების ბარათის მეშვეობით), ასევე წერილობით. ამასთან, ელექტრონული და წერილობითი ფორმით წარდგენილ სიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულ ვერსიას. თუ მოთხოვნა **ბანკს** მიეწოდება **მხარეთა** შორის შეთანხმებული დაცული დისტანციური არხის საშუალებით, მოთხოვნის წარდგენა წერილობითი ფორმით აღარ მოითხოვება.

2.2. **კლიენტის** მიერ **ამ დანართის 2.1. პუნქტით** განსაზღვრული მოთხოვნის **ბანკისთვის** წარდგენამდე უზრუნველყოს აღნიშნული მოთხოვნით განსაზღვრული **თანამშრომლებისათვის ბანკის** მიერ ფიზიკური პირებისთვის დადგენილი „საბანკო მომსახურების პირობების" სრულად გაცნობა.

2.3. **ამ დანართის 2.1. პუნქტით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად **თანამშრომლისათვის სახელფასო ანგარიშის** გახსნისა და **თანამშრომლის ბარათის** დამზადების პირველი მოთხოვნა წარუდგინოს **ბანკს სახელფასო პროგრამაში** ჩართვიდან 3 (სამი) **საბანკო დღის** ვადაში.

2.4. **კლიენტის** მიერ **ამ დანართის 2.1. პუნქტით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად **თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშების** გახსნისა და **ბარათების** დამზადების ყოველი მოთხოვნიდან 7 (შვიდი) **საბანკო დღის** ვადაში, **მხარეთა** შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, **ბანკისგან** მიიღოს: ა) **თანამშრომლის განაცხადების** ფორმები, მათთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად და უზრუნველყოს ზემოაღნიშნულ მოთხოვნაში განსაზღვრული **თანამშრომლების** მიერ **თანამშრომლის განაცხადებისა** და მათთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების პირადად და სრულყოფილად შევსება და ხელმოწერა; ბ) **თანამშრომლების** მიერ შევსებული და ხელმოწერილი **თანამშრომლის განაცხადების** და მათთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების საფუძველზე დამზადებული **თანამშრომლის ბარათები** (შესაბამის დალუქულ კონვერტებთან ერთად, რომლებშიც მოთავსებულია დამზადებული **თანამშრომლის ბარათების** PIN კოდები, თუ აღნიშნული მოთხოვნილია **თანამშრომლის განაცხადით**, ამასთან PIN კოდების **თანამშრომლებისათვის** მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით **თანამშრომლის** მიერ **განაცხადში** PIN კოდის მიღების აღნიშნული მეთოდის დაფიქსირების და **კლიენტის** ან/და **თანამშრომლის** მიერ შესაბამისი მობილური ტელეფონის ნომრის მითითების შემთხვევაში) და უზრუნველყოს მათი გადაცემა შესაბამისი **თანამშრომლებისათვის,** მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) **საბანკო დღის** ვადაში. ამასთან, **თანამშრომელი** და **ბანკი** ნებისმიერ დროს შესაძლოა შეთანხმდნენ **თანამშრომლის ბარათის** მიღების განსხვავებულ წესზე და ეს არ მიიჩნევა **ბანკის** მიერ წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული პირობების დარღვევად.

2.5. **თანამშრომლების** მიერ შევსებული და ხელმოწერილი **თანამშრომლის განაცხადები,** მათთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად, **მხარეთა** შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, დაუბრუნოს **ბანკს, ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შესაბამისი **თანამშრომლის ბარათების** გადაცემიდან 7 (შვიდი) **საბანკო დღის** ვადაში, რის შემდეგაც **ბანკი** განახორციელებს დაბრუნებული **თანამშრომლის განაცხადებით** განსაზღვრული **თანამშრომლის ბარათების** გააქტიურებას.

2.6. **თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშებზე თანხის** ჩარიცხვების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის ან/და ჩასარიცხი **თანხის** მოცულობის შემცირების შემთხვევაში, წერილობითი ფორმით აცნობოს **ბანკს**, აღნიშნული ქმედების განხორციელებამდე არანაკლებ 3 (სამი) **საბანკო დღით** ადრე.

2.7. **თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშებზე თანხის** ჩარიცხვის მიზნით, წარუდგინოს **ბანკს სახელფასო უწყისი**, წერილობითი და ელექტრონული ფორმით. წერილობით და ელექტრონულ **სახელფასო უწყისებს** შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულ ვერსიას.

2.8. **ბანკისთვის სახელფასო უწყისის** წარდგენისას, **სახელფასო უწყისით** განსაზღვრულ **ანგარიშზე** იქონიოს **სახელფასო უწყისით** განსაზღვრული ოდენობის თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, **სახელფასო უწყისით** განსაზღვრული **დავალება** არ შესრულდება, თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

2.9. **სახელფასო პროგრამის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე **თანამშრომლებისათვის თანხის** ჩარიცხვა აწარმოოს მხოლოდ **სახელფასო ანგარიშებზე.**

3. **კლიენტი** უფლებამოსილია:

3.1. მოსთხოვოს **ბანკს თანხის** ჩარიცხვა **თანამშრომლის არსებულ ბარათზე.** ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **ბანკი** ვალდებული არ არის ამგვარი მოთხოვნის მიღების შემთხვევაში უპირობოდ შეასრულოს იგი.

3.2. **ამ დანართის 2.1. პუნქტით** განსაზღვრული მოთხოვნით მიმართოს **ბანკს** არაუგვიანეს **ამ დანართის 2.7. პუნქტით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად **თანხის** ჩარიცხვის მოთხოვნის **ბანკისთვის** წარდგენამდე არანაკლებ 3 (სამი) **საბანკო დღით** ადრე.

4. **ბანკი** ვალდებულია:

4.1. **კლიენტის** მიერ **ამ დანართის 2.7.** და **2.8. პუნქტებით** განსაზღვრული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, **საბანკო დღის** 17:00 საათამდე **კლიენტისგან სახელფასო უწყისით** მიღებული **დავალება** შეასრულოს იმავე **საბანკო დღეს**, ხოლო **საბანკო დღის** 17:00 საათის შემდგომ ან არასაბანკო დღეს **სახელფასო უწყისით** მიღებული **დავალება** - მომდევნო **საბანკო დღეს.**

5. **ბანკი** უფლებამოსილია:

5.1. **სახელფასო უწყისში თანამშრომლის** გვარში/სახელში და **სახელფასო ანგარიშის** ნომერს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, **თანხის** ჩარიცხვასთან დაკავშირებული **დავალების** შესრულებისას უპირატესობა მიანიჭოს **სახელფასო ანგარიშის** ნომერს ან არ შეასრულოს შეუსაბამობის მქონე კონკრეტული **დავალება.**

5.2. ცალმხრივად, **კლიენტის** წინასწარი თუ დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე დაუყონებლივ შეწყვიტოს **სახელფასო პროგრამა,** თუ **კლიენტის სახელფასო პროგრამაში** ჩართვიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში **კლიენტი** არ წარუდგენს **ბანკს თანამშრომლებისათვის სახელფასო ანგარიშების** გახსნისა და **თანამშრომლის ბარათების** დამზადების მოთხოვნას ან/და არ მოითხოვს **თანამშრომლებისათვის თანხის** ჩარიცხვას.

5.3. ცალმხრივად, **კლიენტის** წინასწარი თუ დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე **ანგარიშიდან** ჩამოჭრას იმ **თანამშრომლის ბარათების** დამზადების გადაუხდელი საკომისიო, რომელთა მიღება არ მოხდა მათი დამზადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შესაბამისი **თანამშრომლების** მიერ. ამასთან, **ბანკის** მიერ **ამ ქვეპუნქტით** განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენებისას მხედველობაში მიიღება ყველა კონკრეტული ჩამოჭრის მომენტისათვის **ბანკში თანამშრომლის ბარათების** დამზადებისთვის დადგენილი სტანდარტული პირობები (საკომისიოს მოცულობა).

5.4. ცალმხრივად, **კლიენტის** წინასწარი თუ დამტებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე გააუქმოს **ამ დანართის 5.3. პუნქტით** განსაზღვრული **თანამშრომლის ბარათები** ან/და დახუროს აღნიშნულ **თანამშრომლის ბარათებთან** დაკავშირებული **სახელფასო ანგარიშები** ან/და გაავრცელოს აღნიშნულ **თანამშრომლის ბარათებზე** ან/და მათთან დაკავშირებულ **სახელფასო ანგარიშებზე ბანკში** მოქმედი სტანდარტული პირობები (საკომისიოები).

5.5. **კლიენტის** მიერ **ამ დანართის 2.6. პუნქტით** განსაზღვრული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსთხოვოს **კლიენტს, თანამშრომლების** მიერ დაუფარავი ოვერდრაფტის თანხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის ძირითადი თანხის, პროცენტის, პირგასამტეხლოს ან/და ოვერდრაფტთან დაკავშირებული ნებისმიერი საკომისიოს (როგორც ვადამოსულის, ისე ვადამოუსვლელის) გადახდა, **თანამშრომლების** მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

6. **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

6.1. **სახელფასო ანგარიშის** გახსნისა და **თანამშრომლის ბარათის** დამზადებისთვის **ბანკს** შესაძლებელია მიმართოს უშუალოდ **თანამშრომელმა. ინდივიდუალური მოთხოვნისას** თითოეულმა **თანამშრომელმა ბანკის** სერვის-ცენტრში უნდა წარადგინოს **დოკუმენტი**. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **კლიენტს** ან/და **თანამშრომელს დოკუმენტის** დაკორექტირება ან/და ახლის წარმოდგენა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ **თანამშრომლის** მიერ განხორციელებული **ინდივიდუალური მოთხოვნის** საფუძველზე მოთხოვნილია დაზიანებული, დაკარგული ან/და ვადაგასული **თანამშრომლის ბარათის** ან/და **თანამშრომლის არსებული ბარათის** სანაცვლოდ ახალი **თანამშრომლის ბარათის** დამზადება და აღნიშნულ მოთხოვნამდე გასული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მომთხოვნი **თანამშრომლის სახელფასო ანგარიშზე კლიენტს** ჩარიცხული აქვს **თანხა, დოკუმენტის** წარდგენა **ბანკისთვის** არ მოითხოვება, თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს;

6.2. **სახელფასო ანგარიშზე** ოვერდრაფტის დაშვების საკითხი რეგულირდება **ბანკსა** და **თანამშრომელს** შორის გაფორმებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, თუ **კლიენტი** შესაბამისი **განაცხადით** განსაზღვრავს რიგ პირობებს ოვერდრაფტთან დაკავშირებით, **ბანკის** მიერ **სახელფასო ანგარიშზე** ოვერდრაფტის დაშვების შემთხვევაში, ასევე გათვალისწინებული იქნება **კლიენტის** მიერ შესაბამის **განაცხადში** მითითებული ოვერდრაფტის პირობები;

6.3. **სახელფასო პროგრამის განაცხადით** განსაზღვრული განაღდების საკომისიოების მოცულობა ვრცელდება მხოლოდ **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** საფუძველზე ჩარიცხულ **თანხაზე**, ყველა სხვა შემთხვევაში (სხვა ტიპის თანხის განაღდებისას) გამოიყენება **ბანკში** ყოველი კონკრეტული განაღდების მომენტისათვის მოქმედი სტანდარტული საკომისიოები;

6.4. **სახელფასო პროგრამის განაცხადით** (მათ შორის ოვერდრაფტის პირობების თაობაზე **განაცხადით**) განსაზღვრული ტარიფების/პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს **კლიენტის** მიერ **სახელფასო პროგრამის** ახალი **განაცხადის** (ოვერდრაფტის შემთხვევაში შესაბამისად ოვერდრაფტის პირობების თაობაზე **განაცხადის**) წარმოდგენით, რომლის **მხარეთა** მიერ ხელმოწერის შემდგომ წინა **განაცხადით** განსაზღვრული ტარიფები/პირობები ძალადაკარგულად ჩაითვლება.

6.5. დაკარგული ან დაზიანებული **ბარათის** სანაცვლოდ დამზადებული ახალი **ბარათის** აღდგენის **საკომისიო** განისაზღვრება დაზიანებული ან დაკარგული **ბარათის** აღდგენის მომენტში, აღსადგენი **ბარათების** დამზადებისთვის **ბანკის** მიერ დადგენილი სტანდარტული საკომისიოს მოცულობით (თუ **სახელფასო პროგრამის განაცხადით** კონკრეტულად არ იქნა განსაზღვრული სხვა **საკომისიო** დაკარგული ან დაზიანებული **ბარათის** აღდგენისათვის) და **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული **საკომისიო** უაქცეპტოდ ჩამოჭრას **ბარათის** მფლობელი **თანამშრომლის სახელფასო ანგარიშიდან** ან/და **ბანკში** არსებული **თანამშრომლის** ნებისმიერი ანგარიშიდან.

7. **სახელფასო უწყისის** წარდგენის ვალდებულება არ წარმოეშობა **კლიენტს**, რომელიც **თანამშრომლებისათვის თანხების** ჩარიცხვას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის საშუალებით, ამ შემთხვევაში ასევე არ იმოქმედებს წინამდებარე **დანართით სახელფასო უწყისთან** დაკავშირებით განსაზღვრული შესაბამისი პირობები.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

კლიენტი

/_____/

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N7 - ინტერნეტბანკი

ქ. თბილისი 07 აგვისტო 2018 წელი

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების:
ნომერი: 101
დადების თარიღი: 07.08.2018

1. **ინტერნეტბანკის** მეშვეობით **კლიენტი** უფლებამოსილია დისტანციურად, **ბანკში** მიუსვლელად მისცეს **ბანკს დავალება** და მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციის** განხორციელება:
1.1. **ანგარიშის** დათვალიერება (ინფორმაციის მიღება **ანგარიშზე** არსებული ნაშთის, დარიცხული პროცენტის, ოვერდრაფტის შესახებ და ა.შ.).
1.2. **ბარათის** შესახებ ინფორმაციის ნახვა.
1.3. **კლიენტის ავტომატური გადახდების** და **მუდმივი საგადახდო დავალების** მომსახურების შესახებ ინფორმაციის ნახვა.
1.4. **კლიენტის** მიმდინარე დღის აქტივობების (თანხის ბრუნვების) ნახვა.
1.5. **კლიენტის** მიერ **ინტერნეტბანკით** შექმნილი დოკუმენტების ნახვა.
1.6. **ანგარიშზე** განხორციელებული **ოპერაციის** დამადასტურებელი დოკუმენტების ნახვა.
1.7. პაკეტური **გადარიცხვის/გადახდის** განხორციელება, რედაქტირება, გაუქმება და მათი ისტორიის დათვალიერება.
1.8. დოკუმენტის/პაკეტის ხელმოწერა.
1.9. ვალუტის კურსების ნახვა.
1.10. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების SWIFT და RTGS კოდების შესახებ ინფორმაციის ნახვა.
1.11. სახაზინო კოდების ნახვა.
1.12. **გადარიცხვის** შაბლონის შექმნა/გამოყენება.
1.13. **მესამე პირების** შესახებ ინფორმაციის დამახსოვრება.
1.14. **კლიენტის** ინვოისების/კონტრაქტების და სხვა დოკუმენტების შენახვა.
1.15. კონვერტაცია.
1.16. **ანგარიშებს** შორის **გადარიცხვების** შესრულება.
1.17. **ბანკში** არსებულ **მესამე პირის** საბანკო ანგარიშებზე **გადარიცხვების** შესრულება.
1.18. საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებში არსებულ საბანკო ანგარიშებზე **გადარიცხვების** შესრულება.
1.19. **კლიენტის** მიერ შექმნილი დოკუმენტებისათვის სასურველი ნუმერაციის მინიჭება.
2. **ინტერნეტბანკის** მეშვეობით, **კლიენტს** შეუძლია მოითხოვოს **ოპერაციის** განხორციელება, თუ **დავალება** გაფორმებულია **განაცხადით** განსაზღვრული შესაბამისი **პასუხისმგებელი პირის** (რომელიც განისაზღვრება **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი და **ბანკისათვის** მისაღები ფორმის მქონე დოკუმენტის საფუძველზე) მიერ.
3. **პასუხისმგებელ პირს** შესაძლებელია ჰქონდეს პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე ხელმოწერის კატეგორია. შესაძლებელია ერთ **პასუხისმგებელ პირს** ჰქონდეს რამოდენიმე ხელმოწერის კატეგორია.
4. ცალკეული **ოპერაციის** ან/და **ანგარიშისათვის** შესაძლებელია შეიქმნას **პასუხისმგებელი პირების** ჯგუფი. ამასთან, აღნიშნულ ჯგუფში შემავალი **პასუხისმგებელი პირის** მიერ განხორციელებული **ოპერაციის** შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამის ჯგუფში შემავალი **პასუხისმგებელი პირებისათვის**.
5. **ოპერაციების** ან/და **ანგარიშების** ჯგუფისათვის შესაძლებელია შეიქმნას **პასუხისმგებელი პირების** ჯგუფი. ამასთან, აღნიშნულ ჯგუფში შემავალი **პასუხისმგებელი პირის** მიერ განხორციელებული **ოპერაციის** შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამის ჯგუფში შემავალი **პასუხისმგებელი პირებისათვის**.
6. თითოეულ **პასუხისმგებელ პირს** ან/და **პასუხისმგებელ პირთა** ჯგუფს ცალკეული **ოპერაციისა** ან/და **ანგარიშისათვის** შესაძლებელია დაუწესდეს **ლიმიტი**.
7. თითოეულ **პასუხისმგებელ პირს** ან/და **პასუხისმგებელ პირთა** ჯგუფს **ოპერაციების** ან **ანგარიშების** ჯგუფზე შესაძლებელია დაუწესდეს **ლიმიტი**.
8. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის დავალების** მიცემის მომენტში, **კლიენტის** შესაბამის **ანგარიშზე** არ არის ხელმისაწვდომი თანხა, **დავალება** ავტომატურად გაუქმდება.
9. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ინტერნეტბანკში** შექმნილ დოკუმენტს არ დაადასტურებს შესაბამისი **პასუხისმგებელი პირი** 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნული დოკუმენტი ავტომატურად გაუქმდება და **ბანკს** არ წარედგინება შესაბამისი **დავალება**.
10. **პასუხისმგებელ პირს** აქვს საშუალება გამოიყენოს **ავტორიზაციის** შემდეგი მეთოდები:
10.1. **ავტორიზაცია** მომხმარებლის სახელითა და პაროლის საშუალებით („მარტივი **ავტორიზაცია**").
10.2. **ავტორიზაცია** მომხმარებლის სახელით, პაროლითა და **დიჯიპასით** ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით მიღებული ერთჯერადი **წვდომის კოდის** საშუალებით („რთული **ავტორიზაცია**").
10.3. **ავტორიზაცია KEY ფაილისა** და პაროლის საშუალებით.
10.4. **ავტორიზაცია პასუხისმგებელი პირის** სახელით, ID ბარათით და ID ბარათის პინ კოდის გამოყენებით.
11. **ოპერაციას პასუხისმგებელი პირი** ადასტურებს ხელმოწერის მარტივი ან რთული მეთოდით: ა) მარტივი მეთოდით ხელმოწერა გულისხმობს **ოპერაციის** დადასტურებას მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით ან **დიჯიპასით** მიღებული ერთჯერადი **წვდომის კოდის** საშუალებით, რომლის გენერირება ხორციელდება **დიჯიპასის** ღილაკზე ერთჯერადი დაჭერით; ბ) რთული მეთოდით ხელმოწერა გულისხმობს ოპერაციის დადასტურებას **დიჯიპასით** მიღებული ერთჯერადი **წვდომის კოდის** საშუალებით, რომლის გენერირება ხორციელდება **დიჯიპასში** დამატებით 2 (ორი) პარამეტრის შეყვანის შემდგომ (პარამეტრები მოცემულია **ინტერნეტბანკში**),
12. **ინტერნეტბანკით გადარიცხვის ოპერაციას ბანკი** შეასრულებს **კლიენტისგან** შესაბამისი **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში.
13. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ავტორიზაციის** შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს **ინტერნეტბანკით** სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს **კლიენტის** პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** განხორციელებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო **კლიენტის** ან/და **მესამე პირის** მიერ.
14. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** მესამე პირის მიერ **ინტერნეტბანკით არაავტორიზებული** გამოყენების შესახებ ან ნებისმიერი **არაავტორიზებული ოპერაციის** ან **დავალების** შესახებ, რომლის თაობაზეც **კლიენტმა** შეიტყო ან გაუჩნდა ეჭვი, ან როდესაც **კლიენტს** აქვს ეჭვი, რომ მესამე პირისთვის ცნობილი გახდა მისი **წვდომის კოდი**.
15. **კლიენტს**, რომელიც ფლობს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას, უფლებამოსილია **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად განახორციელოს საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაცია **ინტერნეტბანკთან**, რის შემდეგაც **კლიენტს** საშუალება ექნება, მისცეს **ბანკს** გარკვეული **დავალება** (ინტეგრაციის ფარგლებში **ინტერნეტბანკში ოპერაციების** ჩამონათვალი განისაზღვრება/შეიძლება შეიზღუდოს **ბანკის** შეხედულებისამებრ) აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.
16. **კლიენტს**, საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის **ინტერნეტბანკთან** ინტეგრაციის შემდგომ, შესაძლებლობა ექნება ინტეგრაციის ფარგლებში **ინტერნეტბანკში ოპერაციები** განახორციელოს ვირტუალური მომხმარებლის საშუალებით, რომელიც **მხარეთა** შორის ურთიერთობაში განიხილება, როგორც **პასუხისმგებელი პირი** და **კლიენტი** სრულად არის პასუხისმგებელი **ინტერნეტბანკში** ვირტუალური მომხმარებლის საშუალებით განხორციელებულ **ოპერაციებზე**, ამასთან ვირტუალური მომხმარებლის მიერ **ინტერნეტბანკში** შესასრულებელი **ოპერაციების** ჩამონათვალი განისაზღვრება/შეიძლება შეიზღუდოს **ბანკის** შეხედულებისამებრ.
17. **ბანკი** უფლებამოსილია:
17.1. დროებით შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს ერთი ან რამდენიმე **პასუხისმგებელი პირის ინტერნეტბანკით** მომსახურების უფლება, თუ **კლიენტი** (მათ შორის რომელიმე **პასუხისმგებელი პირი**) დაარღვევს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პირობას ან/და **ბანკს** გაუჩნდება სათანადო ეჭვი, რომ **კლიენტი** ვერ შეასრულებს მასზე **ხელშეკრულებით** დაკისრებულ რომელიმე ვალდებულებას.
17.2. დროებით შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს **ინტერნეტბანკით** მომსახურება, თუ **კლიენტი** 3 (სამი) დღის განმავლობაში ერიდება **ინტერნეტბანკით** მომსახურების **საკომისიოს**.
18. **მხარეები** თანხმდებიან, რომ:
18.1. **კლიენტის** მიერ **ინტერნეტბანკის** მეშვეობით **ოპერაციების** განხორციელების შემთხვევაში, **კლიენტს** შესაძლებლობა ექნება მიიღოს შესაბამისი ელექტრონულ **საბუთი**.

INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
0151296
203831363

18.2. **მხარეთა** შორის **ინტერნეტბანკით** ურთიერთობისას, საკონტროლო დროს წარმოადგებს **ბანკის** (ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული მესამე პირების) ტექნიკური საშუალებების სისტემურ საათებში დაფიქსირებული დრო.

18.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** გადაწყვეტს **ინტერეტბანკით** მომსახურების დროებით შეჩერებას ან/და შეწყვეტას ერთი ან რამდენიმე **პასუხისმგებელი პირისათვის**, იგი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ, 2 (ორი) **საბანკო დღით** ადრე აცნობოს **ბანკს** წერილობითი ფორმით.

დიჯიპასის გამოყენების წესები:

- **დიჯიპასის** გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ **დიჯიპასი** დაცული იყოს პინ კოდით.
- **დიჯიპასის** აღებისას **პასუხისმგებელმა პირმა** უნდა დააყენოს ხუთნიშნა პინ კოდი.
- **დიჯიპასის** პინ კოდი არ შეიძლება იყოს მარტივი კომბინაციები – 12345, 98765 და ა.შ..
- პინ კოდის დასაყენებლად იხელმძღვანელეთ „დიჯიპასის გამოყენების წესით", რომელიც განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://bankofgeorgia.ge/retail/ge/remote-banking/internet-banking
- **ინტერნეტბანკში** პირველი შესვლის დროს, მომხმარებლის სახელში შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი, პაროლში შეიყვანეთ – ერთჯერადი პაროლი, რომელიც მითითებულია **დიჯიპასის** „მიღება-ჩაბარების აქტში", ერთჯერადი კოდის ველში კი **დიჯიპასზე** დაგენერირებული ერთჯერადი კოდი. ერთჯერადი კოდის მისაღებად იხელმძღვანელეთ „დიჯიპასის გამოყენების წესით".
- ერთჯერადი პაროლი გამოიყენება **ინტერნეტბანკში** პირველი შესვლის დროს.
- პირველი **ავტორიზაციის** დროს აუცილებელი წესით უნდა შეცვალოთ პაროლი. რომელსაც გამოიყენებთ **ინტერნეტბანკში** შემდგომი შესვლის დროს.
- პაროლი უნდა იყოს მინიმუმ ექვსნიშნა. ის უნდა მოიცავდეს რიცხვებს, ლათინურ ასოებს როგორც დაბალი ასევე მაღალი რეგისტრიდან. (როგორც დიდ ასევე პატარა ლათინურ ასოებს).
- პაროლის ცვლილება უნდა დამოწმდეს ერთჯერადი კოდით. ერთჯერადი კოდის მისაღებად იხელმძღვანელეთ „დიჯიპასის გამოყენების წესით".
- პაროლის ცვლილება **ინტერნეტბანკში** შესაძლებელია ნებისმიერ დროს.
- პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, ერთჯერადი პაროლის აღდგენა შესაძლებელია **ბანკის** ოპერატორთან.
- დოკუმენტის **დიჯიპასით** ხელმოწერისთვის იხელმძღვანელეთ „დიჯიპასის გამოყენების წესით".
- **დიჯიპასის** სხვა ფუნქციების გამოსაყენებლად გაეცანით „დიჯიპასის გამოყენების წესს".

ID ბარათის გამოყენების წესი:

- **ინტერნეტბანკში** ID ბარათით შესვლისას და დოკუმენტ(ებ)ის ხელმოწერისას აუცილებელია იქონიოთ ID ბარათი, მისი პინ კოდი და წამკითხველი მოწყობილობა.
- „მომხმარებლის სახელის" ველში ჩაწერეთ მომხმარებლის სახელი, რომელიც მითითებულია „მიღება-ჩაბარების აქტში" და დააჭირეთ „ინტერნეტბანკში შესვლას". თუ ღილაკებიანი წამკითხველი მოწყობილობა გექნებათ შეერთებული, პინ კოდი შეიყვანეთ წამკითხველ მოწყობილობაში, უღილაკო წამკითხველი მოწყობილობის შემთხვევაში კი – ეკრანზე.
- ID ბარათის გამოყენებისთვის აუცილებელია თქვენს კომპიუტერში დაინსტალირებული იყოს წამკითხველი მოწყობილობის დრაივერი და Java თქვენი ბრაუზერისთვის.
- ID ბარათის პინის დაბლოკვა/განბლოკვა და მასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ ID ბარათის გამცემ შესაბამის ორგანოს.

Key ფაილის გამოყენების წესი:

- **Key** ფაილი შედგება 6 (ექვსი) ფაილისაგან.
- **ინტერნეტბანკში** შესვლისთვის და დოკუმენტ(ებ)ის ხელმოწერისთვის შესაბამის ფანჯარაში „საიდუმლო გასაღების" ველში დააჭირეთ ღილაკს „არჩევა", მოძებნეთ **Key ფაილის** მისამართი (ანუ შესაბამისი საქაღალდე), მონიშნეთ ფაილი "secret.key" და დააჭირეთ "Open"-ს. პაროლის ველში კი შეიყვანეთ თქვენი **Key ფაილის** პაროლი.
- **Key ფაილის** გამოყენება ყველა ბრაუზერშია შესაძლებელი.
- **Key ფაილის** პაროლის დაკარგვის შემთხვევაში მისი აღდგენა არ არის შესაძლებელი.
- **Key** ფაილის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი აღდგენა არ არის შესაძლებელი.

მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღებული ერთჯერადი წვდომის კოდის გამოყენების წესი:

- მოკლე ტექსტური შეტყობინებით ერთჯერადი **წვდომის კოდის** მიღებას **კლიენტი** შეძლებს შესაბამის **განაცხადში** დაფიქსირებულ **ტელეფონის ნომერზე**.

კლიენტის პროგრამული უზრუნველყოფის ინტერნეტბანკთან ინტეგრაციის წესი:

- ინფორმაციას **ინტერნეტბანკთან** საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე **კლიენტი** იღებს ელექტრონულ მისამართზე: https://api.businessonline.ge.
- **კლიენტმა** უნდა დარეგისტრიროს „ApiSecretKey"-ით ავტორიზაციის მეთოდი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://businessonline.ge/Oauth/Connect/Clients.aspx
- მიღებული **„კლიენტის** აპლიკაციის ID"-ის და „აპლიკაციის client_secret"-ის გამოყენებით **კლიენტმა** უნდა მოახდინოს ავტორიზაცია საკუთარი პროგრამიდან.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

_____

კლიენტი

/_____/

კლიენტის ხელმოწერა/_____/

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N5 - სამსახურებრივი ბარათი

ქ. თბილისი

07 აგვისტო 2018 წელი

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების:
ნომერი: 101
დადების თარიღი: 07.08.2018:

1. **სამსახურებრივი ბარათის** ტიპებია:
   ა) **Cash Card**;
   ბ) **ბიზნეს ბარათი**;
2. **სამსახურებრივი ბარათის** მეშვეობით **კლიენტს**, ხოლო კონკრეტულად **ბიზნეს ბარათის** საშუალებით ასევე **ბიზნეს ბარათის მფლობელს**, უფლება აქვს მისცეს **ბანკს დავალება**, რომ **ბანკმა** აღნიშნული **დავალებისა** და **განაცხადით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად უზრუნველყოს **ოპერაციების** შესრულება.
3. **კლიენტის** ერთ **ანგარიშთან** შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ერთზე მეტი **სამსახურებრივი ბარათი**, ამასთან, **Cash Card** უკავშირდება **კლიენტის სტანდარტულ მიმდინარე ანგარიშს**, ხოლო **ბიზნეს ბარათი** უკავშირდება **კლიენტის უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშს**, რომელიც თავის მხრივ განკუთვნილია მხოლოდ **ბიზნეს ბარათის** მომსახურებისათვის.
4. ერთი **კლიენტის** სახელზე შეიძლება დამზადდეს ერთზე მეტი **სამსახურებრივი ბარათი**, ხოლო კონკრეტულად ერთი **ბიზნეს ბარათის მფლობელის** სახელზე ერთზე მეტი **ბიზნეს ბარათი**.
5. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **სამსახურებრივი ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.
6. **Cash Card**-ის გადაცემა ხდება მხოლოდ **კლიენტისათვის**, ხოლო **ბიზნეს ბარათის** გადაცემა შესაძლებელია, როგორც **კლიენტისათვის**, ასევე **ბიზნეს ბარათის მფლობელისათვის**, ამასთან ამ უკანასკნელს შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მის სახელზე დამზადებული **ბიზნეს ბარათი**.
7. **ხელშეკრულების** შესაბამისად, **სამსახურებრივი ბარათის** გაუქმებამდე, **ბანკი** უფლებამოსილია შეასრულოს **კლიენტის** ნებისმიერი **დავალება სამსახურებრივი ბარათით** მომსახურების ფარგლებში. **ბანკი ბიზნეს ბარათით** მომსახურების ფარგლებში ასევე უზრუნველყოფს **ბიზნეს ბარათის მფლობელის დავალების** შესრულებას, ამასთან **ბანკი** არ აგებს პასუხს იმ შემთხვევაში თუ **ბიზნეს ბარათის მფლობელის დავალება** შესრულებულია **კლიენტსა** და **ბიზნეს ბარათის მფლობელს** შორის შრომითი ან ნებისმიერი სხვა სახის ურთიერთობის დასრულების/შეჩერების შემდეგ.
8. **სამსახურებრივი ბარათით** შესაძლებელია შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
8.1. **ანგარიშზე** თანხის შეტანა;
8.2. **ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვა;
8.3. **ანგარიშიდან** თანხის გადარიცხვა;
8.4. **ანგარიშიდან** თანხის განაღდება (როგორც **ბანკომატით**, ასევე **ბანკის** სერვის-ცენტრების ან სხვა კომერციული ბანკის სერვისცენტრში **პოს-ტერმინალის** მეშვეობით);
8.5. თანხის გადახდა **პოს-ტერმინალების** მეშვეობით;
8.6. დისტანციური გადახდა, რომლის განსახორციელებლად აუცილებელია **სამსახურებრივ ბარათის** რეკვიზიტები;
8.7. **კანონმდებლობითა** და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა **ოპერაციები**.
9. თუ **ბიზნეს ბარათის** მფლობელი არ წარმოადგენს **კლიენტის** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, იგი არ არის უფლებამოსილი **ბანკის** სერვისცენტრში განახორციელოს **სადებეტო ოპერაციები** (გარდა **ბანკის** სერვისცენტრში **პოს-ტერმინალის** საშუალებით თანხის განაღდებისა), აგრეთვე მოითხოვოს ინფორმაცია **ბიზნეს ბარათის** ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ან/და მიიღოს **ბიზნეს ბარათის** ამონაწერი.
10. **Cash Card**-ის დაბლოკვის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ **კლიენტს**, ხოლო **ბიზნეს ბარათის** დაბლოკვა - როგორც **კლიენტს**, ასევე **ბიზნეს ბარათის მფლობელს**. ამასთან, **კლიენტს** შეუძლია დაბლოკოს ნებისმიერი **სამსახურეობრივი ბარათი**, ხოლო **ბიზნეს ბარათის მფლობელს** - მხოლოდ მის სახელზე დამზადებული **ბიზნეს ბარათი**.
11. თუ **სამსახურებრივი ბარათის** დაბლოკვა ხდება სატელეფონო ცენტრის საშუალებისათვის, **სამსახურებრივი ბარათის** დაბლოკვისათვის **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს** ან/და **ბიზნეს ბარათის მფლობელს** შემდეგი მონაცემების დასახელება:
11.1. **კლიენტის** სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი ან/და **ბიზნეს ბარათის მფლობელის** სახელი, გვარი და პირადი ნომერი.
11.2. **სამსახურებრივ ბარათთან** დაკავშირებული **ანგარიშის** ნომერი.
11.3. დასაბლოკი **სამსახურებრივი ბარათის** ტიპი.
11.4. **წვდომის კოდი.**
11.5. **ბანკის** მიერ ცალმხრივად განსაზღვრული ნებისმიერ დამატებითი ინფორმაცია.
12. **სამსახურებრივი ბარათის** დაბლოკვა შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ **ბანკომატში წვდომის კოდის** შეყვანა მოხდება შეცდომით ზედიზედ სამჯერ, თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
13. თუ **ბიზნეს ბარათი** დაბლოკილია **კლიენტის** მიერ მის განბლოკვაზე უფლებამოსილია მხოლოდ **კლიენტი**, ხოლო თუ **ბიზნეს ბარათი** დაბლოკილია **ბიზნეს ბარათის მფლობელის** მიერ, მისი განბლოკვა შეუძლია, როგორც **კლიენტს**, ასევე **ბიზნეს ბარათის მფლობელს**. **Cash Card**-ის განბლოკვაზე უფლებამოსილი პირია მხოლოდ **კლიენტი**.
14. **ბანკის ბანკომატებში** დაკავებული **Cash Card**-ის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტისთვის**, ხოლო **ბიზნეს ბარათის** გადაცემა - როგორც **კლიენტისათვის**, ასევე **ბიზნეს ბარათის მფლობელისთვის**. ამასთან, **ბიზნეს ბარათის მფლობელზე** შესაძლებელია მხოლოდ მის სახელზე დამზადებული **ბიზნეს ბარათის** გადაცემა.
15. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს **სამსახურებრივი ბარათის** გაუქმება, ხოლო **ბარათის მფლობელი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მხოლოდ მის სახელზე დამზადებული **ბიზნეს ბარათის გაუქმება**.
16. **ბიზნეს ბარათის** გაუქმების მოთხოვნიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში **კლიენტს/ბიზნეს ბარათის მფლობელს** არ ექნება უფლება **ანგარიშზე** განახორციელოს **სადებეტო ოპერაცია**, ხოლო აღნიშნული 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, **კლიენტს** ეძლევა საშუალება შეასრულოს **სადებეტო ოპერაცია ანგარიშიდან, ანგარიშზე** არსებული ხელმისაწვდომი ნაშთის ფარგლებში ერთჯერადად. **ბანკი** იტოვებს უფლებას, **ბიზნეს ბარათის** გაუქმებასთან ერთად/გაუქმების შემდეგ **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, დახუროს შესაბამისი **ანგარიში**.
17. **ბიზნეს ბარათის** ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშზე**: ა) იქნება ხელმისაწვდომი თანხა და არ იქნება დაფიქსირებული რაიმე სახის დავალიანება, ვადაგასულ **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებული **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში** არ დაიხურება და **კლიენტს** უფლება ექნება აღნიშნულ **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** განახორციელოს მხოლოდ ერთი **სადებეტო ოპერაცია**, რის შემდეგაც **ბანკი** იტოვებს უფლებას, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, დახუროს შესაბამისი **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში**; ბ) არ იქნება ხელმისაწვდომი თანხა და დაფიქსირებული არ იქნება რაიმე სახის დავალიანება, **ბანკი** იტოვებს უფლებას, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, დახუროს შესაბამისი **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში**; გ) იქნება დაფიქსირებული რაიმე სახის დავალიანება, ვადაგასულ **ბიზნეს ბარათთან** დაკავშირებული **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში** არ დაიხურება **კლიენტის** მიერ აღნიშნული დავალიანების სრულად დაფარვამდე, რის შემდეგაც **ბანკი** იტოვებს უფლებას, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, დახუროს შესაბამისი **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში**;
18. **ბანკი** უფლებამოსილია:
18.1. არ შეასრულოს **კლიენტის/სამსახურებრივი ბარათის მფლობელის დავალება**, თუ **ბანკში** მიღებულია შეტყობინება **სამსახურებრივი ბარათის** დაკარგვის ან მოპარვის შესახებ.
18.2. არ შეასრულოს **კლიენტის/სამსახურებრივი ბარათის მფლობელის დავალება**, თუ **ბანკს** აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ **სამსახურებრივი ბარათი** დაკარგულია ან მოპარულია.
18.3. **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე გააუქმოს/შეაჩეროს **სამსახურებრივი ბარათით** მომსახურება, თუ დაიხურება **ანგარიში**, რომელიც დაკავშირებულია **სამსახურებრივ ბარათთან**.

მხარეთა ხელმოწერები

INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

ბანკი

/_____/

კლიენტი

/_____/

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი Nა - დამატებითი პირობები
101- 001

ქ. თბილისი

07 აგვისტო, 2018 წელი

1. მხარეები

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	სს „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	<u>წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):</u>	
1.1.1.2.1.	სახელი და გვარი:	ნინო კაციტაძე;
1.1.1.2.2.	თანამდებობა/სტატუსი:	ცენტრალური ფილიალის მმართველის მოადგილე;
1.2.	**კლიენტი:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო):	სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი";
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	203831363;
1.2.1.2.	<u>წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):</u>	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ნიკოლოზ გოგილიძე;
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	01020007545;
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	თავმჯდომარე.

2. <u>მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები</u>

2.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** ქვემოთ მოცემული **საბანკო პროდუქტით**/მომსახურებით ისარგებლებს ქვემოთ მოცემული **საკომისიოს** შესაბამისად, ხოლო ის **საკომისიო**, რომლებიც არ არის მოცემული წინამდებარე **დანართში**, განისაზღვრება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით:

საბანკო პროდუქტი/მომსახურება	საკომისიო	საკომისიოს მოქმედების ვადა
თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ	უფასო	

2.2. წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული **საკომისიო** იმოქმედებს წინამდებარე **დანართით** განსაზღვრული ვადით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ **საკომისიო** განისაზღვრება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით.

2.3. **კლიენტი** ვალდებულია ისარგებლოს მხოლოდ **ბანკის** საბანკო მომსახურებებით (ნებისმიერი სახის პროდუქტით ან/და მომსახურებით), მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) % აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ **ბანკის** მეშვეობით.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

კლიენტი

კლიენტის ხელმოწერა

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

განაცხადი საბანკო მომსახურების საერთო პირობების ცვლილების (გარდა ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობებისა) შესახებ
Application for amending the general terms (except individually negotiated terms) of the banking services

თარიღი/Date: 07/08/2018

კლიენტის სრული დასახელება Full name of the Client	სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“
საიდენტიფიკაციო კოდი Identification number	203831363
წარმომადგენელი (სახელი, გვარი) Representative (name, surname)	ნიკოლოზ გოგილიძე

განაცხადზე ხელმოწერით ვადასტურებ და ვაცხადებ თანხმობას, რომ: ა) განაცხადით განსაზღვრული ინფორმაცია არის ზუსტი და უტყუარი; ბ) წინამდებარე განაცხადის გაფორმებამდე მხარეთა შორის ინდივიდუალურად შეთანხმებული ყველა პირობა დარჩეს უცვლელი; გ) წინამდებარე განაცხადზე ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა შორის საბანკო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ ურთიერთობებში, გამოიყენება www.bankofgeorgia.ge ვებ-გვერდზე განთავსებული „საბანკო მომსახურების საერთო პირობებით“ (მათ შორის მისი დანართებით) განსაზღვრული ტერმინები.

By signing the Application, I confirm and agree that: a) the information provided in the Application is accurate and true; b) every term agreed individually between the parties before signing the Application shall remain unchanged; c) from the moment of the signing the Application, for any relationship under the banking service agreement, parties shall use the definitions defined under the "General Terms of The Banking Service" (including it's Annexes) given on the web-page www.bankofgeorgia.ge.

ხელმოწერა
Signature